განმარტებითი ბარათი
ქ. თბილისში, ჭუჩა თარხნიშვილის ქ. №2-ში,
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით
სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლის ანგარიში

"ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ორ ზონაში ჩრდილოეთით სსზ-2 პ1-0,7 პ2-4,6 პ3-0,1 266 მ/პ3. და სამხრეთით სზ-5 პ1-0.5 პ2-2.1 პ3-0.1 3654 მ/პ3 საცხოვრებელ ზონაში, ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 11 აპრილის სხდომის №14 ოქმის საფუძველზე, ქ. თბილისის მერის 2013 წლის 1 ივლისი №1308 განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომლის მიხედვით საპროექტო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვრა შემდეგნაირად:

პ1=1.0, პ2=7.2, პ1=0.5, პ2=2.8

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L / K2X(K2'-K2)XS

სადაც:

L - მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 მ^2

K2' - მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

K2 - მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

S - მიწის ნაკვეთის ფართობი.

აქედან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებელი იქნება:

მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში (3654 მ^2) – 383/2.5X(2.8-2.5)*X3654=167937.84 ლარი

მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ნაწილში (266 მ^2) – 383/5.5X(7,2-5,5*)X266=31486.42 ლარი

საერთო ჯამში გადასახდელია – 199424.26 ლარი

ქ. თბილისში, ქუჩა თარხნიშვილი №2-ში,№3 სამშობიარო სახლის მიმდებარედ.
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით
სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლის გადახდის გრაფიკი

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლი შეადგენს 199424.26 ლარს

I	აგვისტო 2013 წ.	16618.68 ლარი
II	სექტემბერი 2013 წ.	16618.68 ლარი
III	ოქტომბერი 2013 წ.	16618.68 ლარი
IV	ნოემბერი 2013 წ.	16618.68 ლარი
V	დეკემბერი 2013 წ.	16618.68 ლარი
VI	იანვარი 2014 წ.	16618.68 ლარი
VII	თებერვალი 2014 წ.	16618.68 ლარი
VIII	მარტი 2014 წ.	16618.68 ლარი
IX	აპრილი 2014 წ.	16618.68 ლარი
X	მაისი 2014 წ.	16618.68 ლარი
XI	ივნისი 2014 წ.	16618.68 ლარი
XII	ივლისი 2014 წ.	16618.68 ლარი

შპს. "ემ.ჯი.აი"

მზია ბერიაშვილი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1308

„ 1 ივლისი 2013 წ.

ქ თბილისში, თარხნისშვილის ქ. №2-ში. №3 საშობაო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 19 ივნისის სხდომის №24 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, თარხნისშვილის ქ. №2-ში. №3 საშობაო სახლის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.02.006.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: **კ1=1,0, კ2=7,2. კ1=0,5, კ2=2,8.**

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.“ ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTG22 (220101480) ა/ანგარიში: GE18LB0125152101628580.**

3.დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გათვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაეკისროს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა